ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
ქუთაისის უნივერსიტეტისადმი
№ 29 § 1 6.06.2012 წ.

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 33, 34 და 35-ე მუხლის, ქუთაისის უნივერსიტეტის მოქმედი წესდებისა და ქუთაისის უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების დებულების თანახმად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი ქუთაისის უნივერსიტეტის სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ მიმართულებებში:

ალრიცხვა
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ეკონომიკა და ბიზნესი
სრული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ასოცირებული პროფესორი - 3 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
მარკეტინგი
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
მენეჯმენტი
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ტურიზმი
ასოცირებული პროფესორი - 3 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ფინანსები
ასოცირებული პროფესორი - 5 საშტატო ერთეული
ასისტენტ-პროფესორი - 3 საშტატო ერთეული
მათემატიკა
ასოცირებული პროფესორი - 2 საშტატო ერთეული
ინფორმატიკა
ასისტენტ-პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ისტორია
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული
ინგლისური
ასოცირებული პროფესორი - 1 საშტატო ერთეული

2. სრული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი; ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის სულ მცირე 6 წლის გამოცდილება

3. ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნას პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი; ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის სულ მცირე 3 წლის გამოცდილება

4. ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორი ან დოქტორანტი. აგრეთვე შესაძლებელია არჩეულ იქნას მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მიმართულების შესაბამისი პროფესიული გამოცდილება, სპეციალური მომზადება და პუბლიკაციები.

5. კანდიდატების ასაკი არ უნდა აღემატებოდეს 70 წელს.

6. საბუთების მიღების ვადები განისაზღვროს 11-17 ივლისის ჩათვლით, კონკურსი ჩატარდეს და შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 6 აგვისტოსი, ხელშეკრულებები შერჩეულ კანდიდატებთან გაფორმდეს 2012 წლის 1 სექტემბრიდან.

7. საბუთების მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის კადრების განყოფილებაში.

8. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს დასაქმების საიტზე www.job.ge და გაზეთში „24 საათი".

რექტორი ლელა ქელბაქიანი